# სახალხო გაზეთი

№ 1088 შაბათი, 11 იანვარი 1914 წ. № 1088

ეროვნული ბიბლიოთეკა

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხალხის 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედონი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება**

(კვირაობით).

**პრემიად** 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

**პირველი წიგნი:** „**ქართველი მწერლები**“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „**უგვირგვინო მეფენი**“, ისტორ. დრამა 5 მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „**მიმქრალი შარავანდედი**“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

**მეორე წიგნი:** „**უცხოეთის მწერლები**“, რომელშიაც დაიბეჭდება: „**დონ-კარლოსი**“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

**მესამე წიგნი:** „**სამეცნიერო კრებული**“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

**გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. | 7. 50 | 6. 75 | 6 | 5. 25 | 4. 50 | 3. 75 | 3 | 2. 25 | 1. 50 | 75. |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

**ადრესის გამოცვლილი ფასი** ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

**დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.**

**სამი აბაზი** უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში**, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან. 2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

**ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

კვირას, 12 იანვარს, 12 საათზე დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა

## გიორგი ექვთიმეს ძე წერეთლისა

**(14 წლის თავზე)**

რასაც აუწყებს ნაცნობებს და პატივის მცემლებს **მეუღლე მისი ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა და შვილები: ელენე, ლევანი და ირაკლი წერეთლები.**

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

წლიწ. მეათე. **„ნაკადული“** წლიწ. მეათე.

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

**მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზრდილთათვის 12 წიგნი.**

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

**საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:**

„**მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები**“,

(მრავალი სურათებით), **გიორგი ანთელავისა.**

**ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარედ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში:** „**ნაკადულის**“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накалули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა **ქუთაისში**—ისიდორე კვინიტაძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტრიფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო ლომინაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო აბშილიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **ხონში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ქიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. სახთაშვილთან, **ალექსანდროპოლში**—ს. შალბერაშვილთან, **როსტოვში**—ი. ლომიძესთან, **ხონში**—მ. ი. ქავჟარაძესთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი **გარჩევით** დასწერონ, თუ ჟურნალი არ მიხდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

31 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე.** გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

**გამოსულია და იყიდება**

## ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“,

**პიესა** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1608

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე.**

**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

1913 წლის 20 ნოემბრიდან

ქართვ. შორის წ.-კით. გამავრც. საზოგ. ქუთაის. განყოფილებამ

## გახსნა ახალი სტამბა

საკუთარი

**— ქუთაისში —**

სტამბა საუკეთესოდაა მოწყობილი და იღებს ყოველ-გვარ საქმეებს ქალაქისა და პროვინციებისას,—ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე. ✦ **ფასები ძლიერ ზომიერია.** 1658

## ქართული თეატრი

**ნინოობას, ამა იანვრის 14 ს**

**ტფილ. ქართველ ქალთა საზოგადოება**

**გამართავს**

სალიტერატურო-სამუსიკო-სამხატვრო

## საღამოს

I.

**ლექციები**—კ. აბაშიძისა, ივ. გომართელისა და შ. მესხიშვილისა.

II.

**საკონცერტო განყოფილება:** ხორო ფილარმონიულ საზოგადოებისა, სიმებიანი ორკესტრი ახალი კლუბისა და სოლისტები.

III.

**ცოცხალი სურათები**—ქართველი ქალის წარსულის და ახალის ცხოვრებიდან, მ. კორელის და ვ. შალიკაშვილის ხელმძღვანელობით.

**დასასრულ ცეკვა.** ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 8 ს. 1019

გორის პირველი კერძო

## სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)**

**განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კოზერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი მ. გ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**გინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.**

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606“, „914“.** 1604

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, ხაჯუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სახლის ახლოს.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებ. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ვენერიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1426

**ტელეფ. № 795.** ქართული თეატრი **წარმოდგ. № 56.**

კვირას, 12 იანვარს, 1914 წ. ქართ. დრამატ. საზ. დასის მიერ **ნ. ჩხეიძის** მონაწილეობით წარმ. იქნება მეორედ ქართულ სცენაზე:

## დამარცხებული რომი,

ტრაგედია 5 მოქმ. ალ. პაროდისა, თარგ. შალიკაშვილისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: თორიძე, მდივანი, ქიქოძე, ქოდალაშვილი, შოთაძე, ჩხეიძე. ბ-ნნი: არადელი-იაშვილი, ბარველი, გომელაური, გუნია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, ურუშაძე, ციციშვილი, შალიკაშვილი, ხონელი.

**დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს.** ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

შემდეგი **ბენეფისი ალ. იმედაშვილისა.** წარმოდგენილი იქნება: „უგვირგვინო მეფენი“. (გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან).

1006 ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობისა

**ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლი**

შაბათს, 11 იანვარს, 1914 წ., სახ. სახ. არს. ქარ. სახ. წარ. მმარ. წრის მიერ **მსახ. ქ-ნი ა. ქიქოძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## სამხედრო ბანაკში

4 მოქმ. თარგმ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ა. ქიქოძე, ბ-ნნი ანაშვილი, არშაკუნი, ი. ზურაბიშვილი, კავსაძე, ალ. მეტრეველი, მინდიაშვილი, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, ტოგონიძე, გ. ფრონისპირელი, ხახანაშვილი, ჭიაურელი. ადგილების ფასი 5 კ-დან 50 კ-მდე დასაწყისი საღამოს 8 საათზე. შემდეგი წარმოდგენა 19 იანვარს. რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** რეჟ. თანაშემწე: ალ. გუგუშვილი. ქარ. სახ. წარმ. მმართ. წრის ადმინისტრაცია. 1002

## ახალი კლუბი

შაბათს, 11 იანვარს, 1914 წ.

## საოჯახო საღამო

ქართულ დრამ. დასის მიერ წარმოდგ. იქნება ქ-ნ **ტ. აბაშიძისა,** ბ-ნთ **კოტე ყიფიანის და კოტე მესხის** მონაწილეობით

**პარიზელი ბიჭი,** კომედია 2 მოქ. ბაიერისა.

**დასაწყ. საღ. 9 ს.** კლუბში შესასვლელს სტუმრები იხდიან: კაცი 1 მან., ქალი 50 კ. და სტუდენტ. 25 კ. 1007

**ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებული**

ქართული წარმოდგენების მმართველი წრის

## გამგეობა

უმორჩილესად სთხოვს ყველა

**იმ ინტელიგენტ სცენის მოყვარე ქალებს და ვაჟებს,**

ვისაც სურვილი აქვს სცენაზე მოღვაწეობისა, გაუწიონ დახმარება აღნიშნულ წრეს და მიიღონ მონაწილეობა წარმოდგენის მართვის საქმეში. გამგეობა დარწმუნებულია, მის მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ და მსურველნი ჩაეწერებიან წრის კანტორაში, მიხეილის პროსპექტი № 102, **რეჟისორ ალ. წუწუნავასთან,** ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან. 1652

## დოქტორ ვამეხლის

## სამკურნალოში

**(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8)**

**მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათ. 3 საათამდე.**

**ნათიძე**—ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

**მინასოვი**—ქირურგი.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი.

**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი სნეულებანი.

**მაშაკიძე**—შინაგანი სნეულებანი.

სავადმყოფოს დირექტორი სამხედრო ექიმი

## კლდიაშვილი.

1023

**ელექტრონის, რენტგენის სინათლის**

## სამკურნალო

**საწოლი ოთახებით**

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1468

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

არაყიშვილის ნოტები:

1) ქართ. ეროვნული სიმღერები ფორტეპიანოს აკომპანიმენტით: ახ, მთვარევ, ბუნდოვანს გულსა, ჩემო თავო, შენდა შეყრამდის, ორთავ თვალის, ოროველა, ნანა, ურმული, მზე (მეგრული), არანანუ, ვაი ღორონთი, საარშიყო, მუ ფქიმინა, მზე (გურული), წიგნი, ქალო ლამაზო 1 მ.,

2) ცეკვა ფორტ. (დავლური) 50 კ.,

3) მგოსნ. სიმღ. ქალთა ხორ. 60 კ.

4) ეროვნული სიმღერები (კახური და ქართლური): კალოური, გუთნური, ურმული, ნანა, სათამაშო, მუშური, შაშვი ლამაზო ქიზიყური, ბერი კაცი ვარ, მაყრული, კახური გრძელი მრავალ-ჟამიერ, ზამთარიო, სუფრული, დიდება, იავ-ნანა, ზარით ტირილი, მკაში, დიამბეგო, ქალს გიქებენ, შავლეგო, გლესამ და გლესამ, მგზავრული, ჭანგალა გოგონა, ჩემო თავო, ჩაკრული . . 65 კ.

5) ქართ. ერთხმოვ. ეროვნ. სიმღერები: წერა-კითხვ. გამოც. 20 კ.

6) РОМАНСы: Не пой красавица, Я жду тебя, мнѣ снился сонъ, еще такъ много струнъ, თითო . . . 30 კ.

Изъ гафиза № 1, . . . 40 კ.

„ „ № 4, . . . 45 კ.

7) Народн. пѣсня Западной Груз. 2 მ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас.

საზღვარ-გარეთის კიმონო

რ. ა. კორთუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

საქარხნო მაღაზიამ

მიიღო დიდ-ძალი შეკერილი ტანისამოსი მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

ახლად მიღებულია. ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით რ. ა. კორთუგალოვისა.

კიმონო

ახალ კლუბთან

არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირიჟორ ს. ი. კრისმანთან.

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—ჭლექი—და გულისა. შეთანაზრებული სპეციფიური ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვისებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. საწყალებს უფასოდ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

საბურთალოზე

მშვენიერ ადგილას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი

ი. ზ. გძელიშვილი

იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. 916

ძ. გ ო რ შ ი

ექიმი (დოკტორანტი). გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი კბილისა პ. მ. მუშულია-კუხალაიშვილი

გადავიდა ქსენიევის ქუჩაზე № 7, სადაც ტფილისის კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტისა და სასტუმრო ვეტცელის ახლო. იღებს დილით 9—2 საათ. საღ. 4—7 ს.-მდე. 872

ექიმი გ. მუხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი პავლე არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი შ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

# წყალს მიცემული საქართველო

1.

ჩვენი ცხოვრების მემატიანე ამ მოკლე ხანში ორი სურათის მოწმე გახდა. აგერ, ქართული თეატრისა და ახალი კლუბის დარბაზებში მეჯლისია გამართული. ელექტრონის ზღვა-შუქითაა მოცული დარბაზები. ყველაფერი ბრწყინავს, ყველაფერი გაჩირაღდნებულია. მთელი ბრწყინვალე არისტოკრატია ამ მეჯლისზეა. მდიდრულად არის მორთული დარბაზები, არა ნაკლებად მდიდრული ტუალეტებია გამოფენილი. ასე გადმოგვცემენ ამ დღეებში გამართულ მეჯლისის სურათს ტფილისის გაზეთები. ჩემს თავს ნებას მივცემ და დავანახვებ მკითხველს მეორე სურათსაც, რომელმაც შეიძლება დისჰარმონია შეიტანოს ამ სადღესასწაულო სულიერ განწყობილებაში, მაგრამ რომელსაც ამით მაინც თავისი სიმწვავე და მნიშვნელობა არ დაეკარგება. აი რანაირ სურათს გვიხატავს ერთი ჩვენი კორესპონდენტი: სოფელია. პატარა, ბნელსა და მიწურ სახლში საწყალი გლეხის ოჯახი შეგროვილა. ამ ბეჩავ ოჯახშიაც დღესასწაულია: ქორწილი აქვთ. ხომ გინახავთ, მკითხველნო, სოფლის ქორწილი? მიწასთან მიკრულ შრომის შვილს იშვიათად მიეცემა ხოლმე საშუალება სიმხიარულისა. ქორწილი ერთი იმ ბედნიერი დღეთაგანია, როდესაც მუდამ წელში მოხრილი გლეხი თავის თავს ცოტა მეტს თავისუფლებას აძლევს და მხიარულობს, რომ „მტერს თვალი დაუბრმაოს“. მაგრამ ამ დღეს გლეხი-კაცის ოჯახში სიმხიარულე არა ყოფილა. არც დაირა, არც სიმღერა, არ ჩვეულებრივი ლხინი. მგლოვიარესავით სხედან ოჯახის წევრები, შუბლი რაღაც გამოუცნობელ კაეშნით შეჰკვრიათ, დაღვრემილნი შესცქერიან ერთმანეთს. ასე დღესასწაულობს ბედნიერ დღეს გლეხი-კაცი, ეს ის ოჯახია, რომელსაც ამ დღეებში გამოუცხადეს, შენს სახლ-კარს უნდა გამოეთხოვო და აიყარო, რადგანაც მიწა სხვის ხელში გადადისო. აი, ორი სურათი. ორივე ჩვენი სინამდვილეა, ორივე შედეგია ჩვენი ცხოვრების დუხჭირი პირობებისა.

თითქმის ყოველ-დღე მოგვდის ცნობები, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა რაღაც გაშმაგებულის სიჩქარით ჰყიდის მამულს უცხოელებზე. ყოველი გაყიდული მამული დიდი დანაკლისია ჩვენთვის, რადგანაც აუტანელ სოციალურ პირობებში აგდებს გლეხს, რომელიც ჯერ ისევ უმეტეს შემთხვევაში თავად-აზნაურობის მიწაზე სცოვრობს.

გაივლის ხანი და არა ერთი და ორი გლეხის ოჯახი ატირდება, არა ერთი და ორი გლეხი დარჩება თავის პერანგის ანაბარა. რამ გამოიწვია ასეთი ამბები? რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა ასე ეშურება მამულის გაყიდვას, თითქოს ეშინიან, არ დამაგვიანდესო? სტატისტიკურის ცნობებით შეიძლება დამტკიცდეს, რომ რუსეთშიაც თან და თან მსხვილი მიწად-მფლობელობა ისპობა. თან და თან უზარმაზარი ლატიფუნდიები ნაწილდება და ნელ-ნელა გლეხების ხელში გადადის, ან მის ნაცვლად პატარ-პატარა მეურნეობანი იქმნება. დაახლოვებით ასეთივე პროცესი ჰხდება ჩვენშიაც, მაგრამ იმ დიდი და თვალსაჩინო განსხვავებით, რომ რუსეთში რუს მემამულეთა ლატიფუნდიები რუსის ხელში გადადის, ჩვენში კი მას ეპატრონება ყველა, გარდა იმისა, ვინც უნდა ეპატრონებოდეს—ქართველი გლეხობა. ამის უმთავრესი მიზეზი, ჩვენის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ქართველი ხალხი სრულიად მოუმზადებელი დახვდა ცხოვრების ახალ პირობებს. ბურჟუაზიული ცხოვრების ქარტეხილი ჩვენში გაჩნდა იმაზე ადრე, ვიდრე თავად-აზნაურობა შეეჩვეოდა შრომას, ან მიწა გადავიდოდა გლეხ-კაცების ხელში. ბურჟუაზიულმა ცხოვრებამ თავის კლანჭებში ჩაითრია ჩვენი თავად-აზნაურობა. ქალაქური ცხოვრება დიდძალს ფულსა თხოულობს. ჩვენმა თავად-აზნაურობამ, ნებიერის ცხოვრებითა და უსაქმურობით გადაგვარებულმა, გადეგენერატებულმა, ჩაიყურყუმელავა ბურჟუაზიულ ცხოვრებაში, რომელიც ყოველთვის დიდძალს ფულს მოითხოვდა და დღე ხომ უფრო მეტს ფულს მოითხოვს. ბურჟუაზიულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო სათანადო სიმდიდრე, რომლის შექმნის უნარიც თავად-აზნაურობას არა ჰქონდა. იგი დიდიხანია გადაეჩვია ჯაფას და პარაზიტად დააწვა მამულს. მაგრამ, რადგანაც მამულს, რა გინდა დიდიც იყოს იგი, ვერ შეუძლიან სიმდიდრის წყაროდ გადაიქცეს, თუ იგი დამუშავებული არ არის, მალე თავად-აზნაურობასაც სრულიად დაეშრიტა წყარო შემოსავლისა. იმან თავნის გაფლანგვას მიჰყო ხელი; დაიწყო განიავება მამულ-დედულისა. დღემდის მამულები მხოლოდ ბანკებში გირავდებოდა. მამულის დაგირავება, შრომის მოყვარე მემამულის ხელში, არც ისე საშიშია, როგორც ბევრს შეიძლება ეგონოს. ბანკიდან მიღებული ფული თუ მემამულემ ისევ მიწას მოახმარა, უსათუოდ მოგებას ნახავს, რადგანაც რაციონალურად მოვლილი მამული გაცილებით უფრო მეტს სარგებელს იძლევა, ვიდრე ბანკი თხოულობს გაცემული ვალის სარგებლად. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას მამული ამ მიზნით არასოდეს არ დაუგირავებია. მამული მხოლოდ იმავე უძირო ბურჟუაზიულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გირავდებოდა, რისთვისაც ეხლა სრულიად იყიდება. ეს წყაროც დაიშრიტა. თავად-აზნაურობის მამულები დაგირავდა და გადაგირავდა. ბურჟუაზიული ცხოვრების კერპი კი კვლავ აღმართული იყო ჩვენი გადაგვარებული თავად-აზნაურობის წინ და ახალს მსხვერპლს მოითხოვდა. დადგა დრო, როდესაც საჭირო გაჰხდა ამ უკანასკნელი მსხვერპლის შეწირვაც. და მართლაც, ჩვენა ვხედავთ, რომ თავად-აზნაურობას დიდი ზარითა და ზეიმით გააქვს საქონელი საქართველოს განიავების სამსხვერპლოზე. საქართველო ბაზარზეა გამოტანილი. იგი იყიდება ნაჭერ-ნაჭერ და ნარდად, რათა ბრწყინვალე წოდებამ თავისი გაუმაძღარი სტომაქი ამოავსოს და დაიკმაყოფილოს ბურჟუაზიული ცხოვრებით გამოწვეული ათასნაირი თვისების ჟინი.

და აი, თითქოს განგებაო, ჩვენი ცხოვრების ზედაპირზე კვლავ ამოიტივტივა ბრწყინვალე მეჯლისმა. იყო დრო, როდესაც ასეთი მეჯლისებით ირთობდა თავის თავს ჩვენი, უსაქმოდ დარჩენილი, თავად-აზნაურობა. ეს მეჯლისები ერთგვარი ბანგი იყო, რომელიც ათრობდა, აბრუებდა საზოგადოებას. ვინ იცის, რამდენი მსხვერპლი შეიწირა, რამდენი ზარალი მოუტანა ქართველი ხალხის გათვითცნობიერების საქმეს იმ გარემოებამ, რომ ჩვენი მოწინავე საზოგადოების მთელი ცხოვრება ამ მეჯლისების გარშემო ტრიალებდა, და აი, ეხლაც, თითქოს მკვდრები აღსდგნენო, ისტორიული მნიშვნელობის კრიზისის დროს, როდესაც ყველას თვალ-წინ უნდა იდგეს კაეშნით სავსე თვალები თავის საცხოვრებელ ადგილიდან აყრილ გლეხისა, ამ დროს რაღაც საბედისწერო სიმბოლოს სახით კვლავ აღიმართა ჩვენ თვალწინ... მეჯლისი.

იქ, ერის გულის სიღრმეში, ბედნიერი დღეების დროსაც კი ტირილია, ცრემლი, აქ კი სიცილი და... მეჯლისი. ამ მეჯლისებში ჰფლანგავდა ჩვენი თავად-აზნაურობა თავის ქონებას მთელი საუკუნე და დღეს, როდესაც ქართველი ხალხი უკიდურეს კრიზისს განიცდის, ჩვენი ბრწყინვალე წოდება იმავ მეჯლისით უხვდება კარზე მომდგარ უბედურებას. მეჯლისი სიმბოლოა ჩვენი თავად-აზნაურობის ცხოვრებისა. მას შეეწირა ზვარაკად ჩვენი ქვეყანა, მასვე ეწირება ზვარაკად ჩვენი ხალხის მარჩენალი მიწა. მეჯლისის ხალხი სწორედ ის ხალხია, რომელმაც ან უკვე გაანიავა, ან ეხლა ანიავებს თავის დედულ-მამულს და, წუთიერ სიამოვნებით დამთვრალი, წყალს აძლევს იმას, რაც წინაპრებმა ოფლითა და სისხლით დაიცვეს და შთამომავლობას გადასცეს. ბურჟუაზიული ცხოვრების ზედაპირზე დღეს მეჯლისია, გიჟური თავ-დავიწყება, ვაკხანალია გრძნობებისა. ერის გულის სიღრმეში კი ტირილია. დღევანდელი მწარე ბედი მძიმე ლოდად დასწოლია იმას, რომელიც ჯერ კიდევ მრავალ გასაფურჩქნავ სასიცოცხლო ძალას ატარებს. იგიც ნელ-ნელა იღვიძებს, მაგრამ ვაი თუ სრული გამოღვიძება მხოლოდ მაშინ მოხდეს, როდესაც იქ, სადაც წვეულება იყო გამართული და მადიანი საქმელები ელაგა, ნასუფრალი და ეყრება? რა საბუთი გვაქვს ასე არ ვიფიქროთ, როდესაც ასე დარდიმანდულად ვქეიფობთ და ჩვენი ხალხის მარჩენელი მიწა ელექტრონისა, ბრილიანტებისა, კოსტიუმებისა და სხვა ამ გვარ..ს სახით მოგვაქვს იმ კერპთან, რომელსაც ბურჟუაზიული სიამოვნება ჰქვიან.

ამ სტრიქონებს რომა ვსწერთ, სრულიადაც იმედი არა გვაქვს, რომ ამის, ვისმეზე რაიმე ზნეობრივ გავლენას მოვახდენთ. ჩვენა გვგონია, აგიტაცია და პროპაგანდა ამ შემთხვევაში სრულიად უსარგებლო საქმეა. წლობით იქმნებოდა ის ნიადაგი, რომელზედაც ესეთი თავად-აზნაურობა უნდა აღმოცენებულიყო. თავად-აზნაურობამ, როგორც პოლიტიკურმა ელემენტმა, დიდი ხანია თავისი დრო მოიჭამა. დადგა დრო, როდესაც ჩვენი თავად-აზნაურობა იშრიტება, როგორც სოციალური კატეგორია. მისი ადგილი, ადრე თუ გვიან უნდა დაიჭიროს ახალი ტიპის მეურნემ, მიუხედავად იმისა, აზნაური იქნება იგი თუ სხვა წოდების წარმომადგენელი, რომლისთვისაც მიწა მტაცებლობითი მეურნეობის წყარო კი არ იქნება, არამედ რაციონალურად, ინტენსიურად მოწყობილი მეურნეობის საფუძველი. ძველებური ტიპი თავადიშვილისა, რომელიც მხოლოდ ქეიფობს და კი არა მუშაობს, უკანასკნელ დღეშია, სულსა ჰლ ფავს. მამულების განიავების ის ციებ-ცხელებაც, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს,—სულთა-ბრძოლაა სასიკვდილოდ გამზადებული ელემენტისა. თუ ვლაპარაკობთ, არა იმიტომ, თითქოს ამ მომაკვდავი ელემენტის ინტერესები გვალაპარაკებდეს, არამედ ბედი იმ მიწისა, რომელიც ამ ჟამად ბაზარზეა გამოტანილი. ჩვენი ტერიტორია ძალიან ცუდად დევს. მას პატრონი არა ჰყავს. უპატრონო მიწას კი ის დაეპატრონება, ვინც უკეთესად არის შეიარაღებული არსებობისთვის ბრძოლაში.

ვინ არიან ესენი?

არ. ჯ—შვილი.

# ქართული პრესა

დასელების გაზეთი „სიმართლის ხმა“ მოიგონებს რა საზოგადოდ ერობის საკითხს ჩვენში და იმ თათბირს, რომელიც გაიმართა ერობის გეგმის შესამუშავებლად 1909 წელს, ასეთს ჰორებს და ცილისწამებას აწვდის თავის უბედურს მკითხველებს:

ეს ის დრო იყო, როცა ნაციონალისტური ფედერალისტური ლაშქარი დემოკრატიას გააფთრებით ებრძოდა. საუკეთესო ხანათ ჩასთვალეს დემოკრატიული ერობა დაესამარებიათ და ამიტომაც ერობისათვის 3 ივნისის საეროვნო კანონს გამოესარჩლენ. ამ გზით ფიქრობდენ მთავრობის გადმობირებას და რეფორმების განხორციელებას.

თუ ვინ ლაპარაკობდა და რას იცავდა ხსენებული თათბირის დროს, ეს, მადლობა ღმერთს, ყველაფერი ცხადად, დაუფარავად ხდებოდა და ყველაფერი გაზეთებში დაიბეჭდა და ყველას შეუძლიან დღესაც წაიკითხოს და შეამოწმოს. ვფიქრობთ, რომ ბ.ბ. დასელებს წაუკითხავადაც კარგად ახსოვთ ჩვენი და სხვების ნათქვამი, მაგრამ მათი „მაღალი პოლიტიკა“ სიმართლეს კი არ აქცევს ყურადღებას, სიმართლეს კი არ ეძებს, არამედ მოწინააღმდეგე უნდა დაამციროს და რა საშუალებით—ეს სულ ერთია მისთვის.

ერთი რამ კიდევაა საგულისხმო, ის, რომ ჩვენი დასელები ყოველთვის აურევენ ხოლმე ერთმანეთში ყველა იმას, ვინც მათ ვიწრო დოგმას არ ემხრობა. რატომ სჩადიან ამას—შეუგნებლობით, თუ განზრახ ამახინჯებენ სინამდვილეს? შესაძლებელია ერთიც და მეორეც. შეიძლება, მართლაც არ შეეძლოთ თეთრის და შავის გარჩევა, არ შეეძლოთ ხუთის ზევით რიცხვის დათვლა, და ამიტომ, როგორც ველურები ითვლიან, ხუთის შემდეგ მხოლოდ რიცხვი ბევრია, ვინც დასელი არაა, ყველა უთუოდ ნაციონალისტ-შოვინისტიშავრაზმელია. ეს ადვილად შესაძლებელია, რადგან ყველგან ცნობილია დასელების პოლიტიკური განუვითარებლობა, რომელთაც დღემდის ვერ გაურჩევიათ ისეთი მცნებები, როგორიცაა ავტონომიური და სეპარატისტული მისწრაფება.

* *
*

ჩვენს გაზეთში ამ რამდენისამე დღის წინად წერილი დაიბეჭდა ერობის იუბილეს შესახებ, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ ერობამ ნიადაგი მომამზადა რუსეთში კონსტიტუციის განსახორციელებლად.

„დღემდის ყველას ეგონა, რომ 17 ოქტომბერი ნაყოფი იყო დიადი განმათავისუფლებელი მოძრაობის, მაგრამ თურმე მწარედ ცრუობდნენ“.

არა, ბატონებო, მარტო თქვენ თუ გეგონათ და გგონიათ, რომ 1905 წელი ციდან ჩამოვარდა. სხვები კი ყველანი იმას ფიქრობენ, რომ რუსეთის კონსტიტუცია არის შედეგი ხანგრძლივის, მრავალის წლის მუშაობისა—კულტურულის და პოლიტიკურისა.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „ზაკავკ. რეჩის“ ქართველი, რომელმაც ამას წინად საქვეყნოდ გამოაცხადა, ქართველებს თავი უნდა მოგვეწონდეს გენერლებით დუმბაძით, ყარანგოზოვით და მისთანებითარ, განაგრძობს წერილების ბეჭდვას საქართველოს შესახებ და „ახალ-ახალ“ აზრებს აუწყებს რუს-ქართველ მკითხველებს.

ყველაზე უწინარეს, ავტორი სწუხს იმის გამო, რომ ხალხს არა აქვს საზოგადოდ ავის და კარგის გარჩევის უნარი და სახელმწიფო სათათბიროში არა გზავნის თავის ინტერესების ნამდვილს დამცველებს. ასევე მოიქცა ქართველი ხალხი, რომელსაც დღეს სათათბიროში არა ჰყავს თავისი ჭეშმარიტი წარმომადგენელი.

„საკანონმდებლო დაწესებულებაში, ამბობს „ქართველი“, არ ისმის ხმა ქართველი ხალხისა, გულწრფელად ერთგულისა რუსეთის ინტერესების და ამავე დროს მტკიცედ დამცველის თავის ეროვნულ მისწრაფებათა...

ეს მარტო ქართველი საზოგადოების ბრალი არაა... არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავსტოვოთ მთავრობის დანაშაული, რომელიც ხელს უწყობდა ქართველობის დაუდევრობას და გულგრილობას. ამით ის ფიქრობდა ეროვნული იდეის შესუსტებას და ამოფხვრას“. მთავრობამ ეხლა დაინახა თავისი შეცდომა, და თვითონ ქართველმა წერა

ხალხმაც შეიგნო ერთობა თავის ეროვნულ-ქართულ ინტერესებისა და რუსეთის ინტერესების. და რაკი ასეთი ბედნიერი გარდაქმნა მოხდა ქართველებისა და მთავრობის შეგნებაში, ავტორის აზრით ფრიად საჭიროა, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა დახმარება აღმოუჩინონ ქართველი ხალხის „შეგნებულს“ ნაწილს, ხსენებულ ეროვნულ იდეის გამომსახველს, რომელიც არსებითად უკავშირებს და აერთებს ქართველობას დიდს რუსეთთან.

რაში უნდა გამოიხატოს მთავრობის დახმარება? მაგრამ მივყვეთ კიდევ ჩვენს რაინდ „შეგნებულ ქართველს“.

„ბრძოლა ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებთან შესაძლებელია, განაგრძობს იგი, მხოლოდ ქართველის ხალხის იმ ელემენტების შეკავშირებით და გაძლიერებით, რომელიც ხავის ეროვნულ ინტერესების შეგნებით იმ დასკვნას დაადგნენ, რომ უთუოდ ხელი უნდა შეუწყონ რუსეთის ზრდასა და გაძლიერებას“.

ჩვენ კარგად გვესმის ვის წინააღმდეგაა მიმართული მთელი ეს მოწოდება ბ. „ქართველისა“, კარგად ვგრძნობთ მის პროვოკატორულ ელფერსაც—ღმერთმა შეუნდოს,—ვინაიდან არ უწყის, რასა იქმს—მაგრამ ჩვენთვის ერთი რამაა უფრო საგულისხმიერო: ჩვენს ზომიერს და მემარჯვენე ელემენტებს ოდნავი უნარი არ გააჩნიათ საქმიანობის და რა იმე შემოქმედებისა, ყოველი მათი ცდა, რომ ქართველი ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაიმე გავლენა ჰქონდეთ, ყოველთვის უნაყოფო იყო და მთელი მათი მოღვაწეობა მხოლოდ სიტყვით იწყება და სიტყვითვე თავდება,—და რახან თვითონ არა შეუძლიათ რა, მთავრობის დახმარებას ეძებენ, მთავრობის „ზომებით“ სწადიანთ მოწინააღმდეგეთა დამარცხება და თავისი გამოჩინება.

სწორედ შესაბრალისნი არიან, არა მარტო უსაქმონი არიან, უნიჭონიც, გულუბრყვილონიც!

# ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **პოლიტეხნიკუმი.** ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, საპოლიტეხნიკო ადგილის გასამშვენიერებლად და მოსაწესრიგებლად საჭირო ფული 100,000 მან. დროებით ისესხოს სახელოსნო სასწავლებლის თანხიდან, ან ამ ხარჯის დასაფარავად საგანგებო სესხი აიღოს. ეს ფული, სხვათა შორის, მოხმარდება ახალ ქუჩის გაყვანას ნავთლუღის გზიდან პოლიტეხნიკუმის შენობამდე. საპოლიტეხნიკუმო ადგილის მოსაწესრიგებლად და მიწების გასაყიდად არჩეულია საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: ქალაქის მოურავის მოადგილე თ-დი ა. მ. აროუთინსკი-დოლგორუკოვი (თავმჯდომარე) და ხმოსნები ანტონოვი, ბაღდასაროვი, ბალაგიანი, სულხანოვი, ტიგრანოვი, მაზმანოვი, ქრელაშვილი და ენფიანჯიანცი.

მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სატეხნიკო კომისიამ პოლიტეხნიკუმის შენობის საბოლოო პროექტი სამს ინჟინერს მიანდო: გ. მ. მიქაელიანცსა, ა. ნ. კალგინსა და გ. გ. ალაჯიანსა, რომელთაც მუშაობა იმ ვარაუდით უნდა დაასრულონ, რომ აპრილის პირველ რიცხვებში შესაძლებელი გახდეს პოლიტეხნიკუმის შენობის საძირკვლის ჩაყრა.

✦ **შემწეობა.** მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას წელს 1,500 მან. მისცა საქვებ ბალახის კულტურის განსავითარებლად. ამას გარდა აღუთქვა საკმარისი ფული მებალახეების ერთის ინსტრუქტორის მოსაწვევად.

✦ **სასანიტარო დათვალიერება.** 9 იანვარს სასანიტარო კომისიამ ქალაქის გამგეობის წევრის თ-დ ნ. აროუთინსკი-დოლგორუკოვის თაოსნობით ალიხანოვის საკანდიტორო და სახელოსნო (ვორონცოვის ძეგლთან) დაათვალიერა და სახელოსნო იმდენად უსუფთაო მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ კომისიამ დაადგინა, სახელოსნო დაუყოვნებლივ დაეკეტოს.

✦ **ღვთისმეტყველების მაგისტრი დეკანოზი კორნელი კეკელიძე** დამტკიცებულ იქმნა ქალთა უმაღლეს კურსების სადვთისმეტყველო კათედრის ლექტორად. პირველ ლექციას 16 იანვარს წაიკითხავს.

✦ **პრემია სამეცნიერო შრომისთვის.** სამეცნიერო აკადემიამ პრემიით (500 მან.) დააჯილდოვა დეკანოზი კ. კეკელიძე, რომელმაც დასწერა სამეცნიერო თხზულება „ი

რუსალიმის კანონარი“ (ქართულის ვერსიით).

✦ **მომხმარებელი მაღაზია „მეურნე“.** ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციამ გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართოს მას, გახსნას ვერაზე მომხმარებელ მაღაზია „მეურნე“. და სექციამ გუბერნატორ თხოვნასთან ერთად წესდებ-ც წარუდგინა დასამტკიცებლად.

✦ **მინდვრის თაგვი.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს ცნობით, ქიზიყში, სახელდობრ შირაქის ველზე, მრავლად გაჩენილა მინდვრის თაგვი და მცხოვრებთ დიდს უბედურებას უქადის. საჭიროა დახმარება.

✦ **დახმარება მოუსავლობისაგან დაზარალებულთ.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსებულმა საგანგებო ბიურომ, რომელსაც მიზნად აქვს დაშეულთათვის დახმარების აღმოჩენა, სხვა და სხვა კუთხის სავაჭრო დაწესებულებას და კერძო პირს საგანგებო ბარათები დაუგზავნა და სთხოვს, მოაწოდონ ბიუროს შემდეგი ცნობები: იშოვება თუ არა მათს კუთხეში გასაყიდი ხორბალი, ფქვილი, თივა, ჩალა და სხვა, როგორ ფასობს იგი და რა პირობები არსებობს მის გადასაზიდად დაშეულ კუთხეებში.

✦ **ქალაქის 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის** განხილვის გასაგრძელებლად 9 იანვარს ქალაქის საბჭოს კრება მოხდა. წინა კრებაზე საბჭომ ქალაქის შემოსავლის აღრიცხვის განხილვა დაასრულა. ამ კრებაზე კი შეუდგა ხარჯების მუხლ-მუხლად განხილვას. საბჭომ მოასწრო განხილვა პირველ შვიდის მუხლისა, რომელიც უცვლელად დაამტკიცა, გარდა ნივთიერ განყოფილებისა და სასამართლო ნაწილის ხარჯებისა. ამ მუხლების შესახებ საბჭოს მსჯელობა ექნება შემდეგ კრებაზე.

✦ **ახალი შრიფტი.** როგორც გავიგეთ, სამეცნიერო აკადემიას განუზრახავს ახალი ქართულის შრიფტის გაკეთება. შრიფტი იქნება რამდენისამე ზომისა სხვა და სხვა დანიშნულებისათვის.

✦ **დაბადება.** იგივე აკადემია რამდენიმე თვის შემდეგ შეუდგება „დაბადების“ გამოცემის ქართულ ენაზე. „დაბადება“ დაიბეჭდება მხედრულის ასოებით. წიგნის რედაქტორებად იქნებიან ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი და ი. ყიფშიძე.

✦ **სახალხო კითხვები.** კვირას, 2 იანვარს, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების დარბაზში, საღამოს 6—7 საათზე ექიმი ნ. ფ. კონდრატიევი რუსულად წაიკითხავს ლექციას ხუნაგზე. მცირე წლოვანთ არ შეუშვებენ.

✦ **ბალახაურის წყაროების გამოკვლევის** საკითხის განსახილველად დღეისთვის დანიშნულია ქალაქის საბჭოს ხმოსანთაგან შემდგარ ბიუროს კრება კ. ე. ანტონოვის თავჯდომარეობით.

✦ **ვერის პარკის გასწვრივ** მტკვარზე საცალფეხო ხიდის პროექტი ქალაქის გამგეობამ უკვე შეუდგინა და დასამტკიცებლად საგუბერნიო სამმართველოს საამშენებლო განყოფილებას წარუდგინა. ხიდის გასაკეთებლად 15,000 მან. არის გადადებული.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **მეაბრეშუმეთა საზოგადოების** დაარსება ტფილისში ამ მოკლე ხანშია განზრახული.

✦ **ახალი ამხანაგობა.** მოკლე ხანში ტფილისში დაიწყებს მოქმედებას მეფუტკრეთა საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც სახელმწიფო ბანკიდან 2,000 მან. უკვე სესხად მიეცა.

## სომეხთა ცხოვრება

✦ **მასწავლებელთა კავშირი სპარსეთში.** სალმასის სომხის მასწავლებელთა ერთს ჯგუფს განუზრახავს მოაწყოს მთელი სპარსეთის სომხის მასწავლებლების კავშირი. მათვე მოუწადინებიათ ყოველდღიური სომხური გაზეთის დაარსება.

✦ **ქალთა ინსტიტუტი.** ამ რამდენისამე წლის წინად სმირნაში სომეხმა ვაჭარმა ტაკვორ-ფაშამ ასი ათასი მანეთი უანდერძა სომხობას. ეს ფული ეხლა სარგებლით 200 ათასს მანეთს შეადგენს და გადაწყვეტილია მით ქალთა ინსტიტუტი გახსნან სომხის მასწავლებელთა მოსამზადებლად.

## ქუთაისი

✦ ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილება ლდემდი თავის 14 სამკითხველოს სამს ქართულ პერიოდულ გამოცემას უწერდა. წელს კი მას 21 სამკითხველო აქვს გახსნილი ქალაქსა და სოფლებში, რომელთაც გამოუწერა ოთხი შემდეგი გამოცემა: ს ასოფლო გაზეთი“, „განათლება“, „ერი“, ნახევარს „ჯეჯილი“ და ნახევარს „ნაკადული“.

განყოფილების სამკითხველოები არის ქუთაისში: არქიელის გორაზე, ქვიტირში, მუხიანაში, სუფსაში, გუბში, წყალტუბოში, მაღლაკში, დიმში, ბაღდადში, სვირში, სიმონეთში, კურსებში, ხრესილში, ტყიბულში, ალპანაში, ლაილაშში, წესში, ამბროლაურში, სადმელში, აგარისა და წკალისში.

განყოფილება გურიაში ამავე გამოცემებს საჭამიას სერის სამკითხველოსაც უწერს და ოკრიბაში ჯვარისის სამრევლო სკოლას—„ნაკადულს“.

✦ საგუბერნიო ჟანდარმთა მოწყრილობით გუშინ გაჩხრიკა სამმა ჟანდარმა უბნის ზედამხედველის თანდასწრებით ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“. მთავრობის საწინააღმდეგო ვერა ამოაჩინეს-რა.

✦ გუშინ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში, საღამოს 7 საათზე ქალთა საზოგადოების მორიგ კრებაზე ელენე ბახტაძის ასულმა ისაუბრა შემდეგ თემაზე: „ავგუსტ ბებელი და ქალთა საკითხი“.

✦ თანახმად შავი-ქვის მე-16 კრების მიერ დადგენილი გადაწყვეტილებისა სოფელ ითხვისში საბჭო პირველ-დაწყებით სასწავლებელს აარსებს, სასწავლებლის მოსაწყობად და წელს შესანახად გადადებულია ათას ხუთასი მანეთი.

✦ შავი ქვის მრეწველთა მე-16 საზოგადო კრებამ დაადგინა ხუთასი მანეთი შემწეობად მიეცეს რგანის სასოფლო საზოგადოებას სოფლის სკოლის შესანახად.

ამგვარივე შემწეობა გადაუწყვიტა 16 კრებამ ჭიათურის ბერძენთა სკოლას, რომელსაც 5000 მანეთი მიეცემა.

## ქუთაისის აქ-იქიდან

შიმშილობა გუბერნიაში არისო, ამბობს ხალხი.

წლეულს თუმცა მოსავლის მხრით სუსტი იყო, ბრძანებენ ჩვენი ადმინისტრატორები, მაგრამ ხალხი თავის საშუალებით გაუძლებს მოუსავლობას და მთავრობის დახმარებას, არ საჭიროებსო. რომელ ერთს დაუჯეროს კაცმა—იმას ვისაც შიმშილით კუჭი ეწვის, თუ მას, რომელიც ყოველ თვის ოცს ჯამაგირს იღებს და თავისთავად ყველა მაძღარი ჰგონია.

21 დეკემბერს გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის მოწოდებით თათბირი იყო შიმშილობის შესახებ და გარდა ერთი წევრისა, ყველა თურმე განცვიფრებული იყო იმ გარემოებით, თუ ვინ აღძრა ლაპარაკი შიმშილობის შესახებ, როცა ამისი მსგავსი არაფერიაო.

მაგალითად მთავრობის ბოქაულიდან ცნობა მოსულა, რომ ოკრიბაში არავითარი შიმშილი არ არისო, იმ დროს როცა ამ მხარეში, როცა სხვაგან დიდი მოსავალია, აქ ხალხი სიმინდს ყიდულობს მიწის სიმწირის გამო. მაშ, რა ნაირად მოხდა, რომ წრეულს აქ ხალხი თავისი საშუალებით გაუძლებს მოუსავლობას?

საკვირველი ის არ ის, რომ ამ თათბირში ქართველი მოხელეებიც იღებდენ თურმე მონაწილეობას რომელთაც კარგად უნდა იცოდენ, რა გაჭირვებას განიცდის ხალხი სიმინდის უქონლობისაგან, ამისდა მიუხედავად, რომ არც ერთმა მათგანმა კრინტიც არ დასძრა თურმე ხალხის გაჭირვების შესახებ და ეს სიჩუმე სხვა მოხელეებმა, რასაკვირველია, მათი თანხმობის ნიშნად ჩასთვალეს.

ერთი სიტყვით, რა მხრითაც უნდა შემოუარო საქმეს, ყოველის მხრით ცდილობენ დამტკიცონ, რომ იმერეთში არავითარი შიმშილი არ არის, და ეს ხომ საბუთია იმისი, რომ სასტიკის ზომების დახმარებით ხალხს ყოველნაირი გადასახადი მოსთხოვონ.

და სთხოვენ კიდეც და ისეთი დაჟინებით, რომ კაცს ეგონება ხალხი გაჭირვებული-კი არა დალხინებულიაო.

სოფლიდან ჩამოსულნი ერთ ხმად ლაღადებენ, გადასახადების მოსაკრეფად მაზრის ადმინისტრაცია სასტიკ ზომებს ღებულობს და ხალხი იძულებულია უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბოს და ადმინისტრაციის მოთხოვნა შეასრულოსო.

* * *

კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების არჩევნებიც ვერ ასცდა ქუთათურ ხრიკობას.



ვანო ფალიაშვილი.

მისი იუბილეს გამო, რომელიც 15 იანვარს არის დანიშნული სახაზინო თეატრში.

შეთანხმების მაგიერ საქმის ინიციატორნი გამგეობის არჩევნების მოლოდინში გაითიშნენ, გამოეყო ერთი ჯგუფი, რომელმაც სხვათა დაუკითხავად ითათბირა, კანდიდატების საკუთარი სია შეადგინა და თავისი გაიტანა.

ჯგუფებად დაყოფა საქმის დასაწყისშივე საქმეს უფრო ვნებას მოუტანს ვიდრე სარგებლობას. არ გვესმის, რად ინებეს პარტიობის შეტანა ჯერ კიდევ ფეხ გაუმაგრებელ დაწესებულობაში?!.

**ელ. ს. კ.**

## დათვური სამსახური

დღეს, როდესაც პეტერბურგში თავი მოუყრია 7000 მასწავლებელ ქალს და კაცს და შორს, ჩრდილოეთში სახალხო სკოლების მასწავლებელნი იღწვიან რუსთა და არა-რუსთა სკოლებში ნორმალური წეს-წყობილებით შემოღებისთვის და რომელთა ერთი სექცია რეზოლიუციის ადგენს არა-რუსთა სკოლებში დედაენაზე სწავლა საჭიროაო, ჩვენში, შუა-გულ საქართველოში, შუა-გულ ქართლში, სოფელ კასპში, კანპის სკოლის ქართველი მასწავლებელი ქალები სალომე ხიმშიაშვილი და ამილახვარი ქართველ მოწაფეებს და მათს ქართველ დედებს „იოლკას“ უმართავენ და ამღერებენ „იოლოჩკა, იოლოჩკა, კაკ მი ტებია ლიუბიმ, ბუდემ პეთ, ბუდემ პეთ, ბუდემ ვესელიცა“ და სხვა.

რა სახელი ეწოდება ასეთ გადაგვარებულ ქალებს, რომელნიც ჩვენ მოზარდ თაობას ასეთ დათვურ სამსახურს უწევენ? ამის გადაწყვეტა თვით მკითხველისთვის მიგვინდვია. (იხილე „სახ. გაზ.“ № 1084). ეს მასწავლებელი ქალები არა ჰგვანებიან მასწავლებელ ქალებს ბერეკაშვილს და ბურჯანაძეს, რომელნიც დღეს პეტერბურგში ბრძანდებიან და რუსეთის სახალხო განათლების მოღვაწეთა კრებაზე მედგრად იცავენ არა-რუსთა სკოლებიდან გამარუსებელ პოლიტიკის განდევნას.

**გიგო თოიძე.**

## ი. დავითაშვილის პოეზია

(„ერის ფიქრის მღაღადებელი“)

(ვ. კოტეტიშვილის რეფერატი)

ქართული სიტყვიერება, ლიტერატურა ჯერ კიდევ მკვლევარს მოელის, რომელიც ყოველმხრივ შეისწავლის მას, გააშუქებს და შეჰქმნის ერთ მთლიან სურათს ქართულ სიტყვიერების მწყობრ ისტორიად. ფართო საზოგადოება არ იცნობს ისეთს მწერლებს ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში, რომელთაც სიტყვიერების საგანძურში ძვირფასი წვლილი შეუტანიათ და უმსახურნიათ მშობლიურ ლიტერატურის აყვავებისთვის. სწორედ ასეთს გუნდს მწერლებისას ეკუთვნის ი. დავითაშვილი. ამ მხრივ დიდი მადლობის ღირსია ბ. ვ. კოტეტიშვილი, რომელმაც ხუთ იანვარს დეპუტატთა საკრებულოში მოხსენება წაიკითხა ი. დავითაშვილის პოეზიაზე და აღნიშნა მისი ცოტად თუ ბევრად დამახასიათებელი თვისებანი. მომხსენებელმა შესავალში ილაპარაკა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარის ეპოხაზე, რაიც ჩვენს მწერლობაში დემოკრატიულ მიმართულებით აღიბეჭდა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ბრძოლა ძველისა და ახალს შორის, ბრძოლა მამათა და შვილთა შუა. რასაკვირველია, შვილნი, როგორც პროგრესიულ იდეების მატარებელნი, გამარჯვებულნი დარჩებოდნენ ამ ბრძოლაში, და ჩვენს ლიტერატურაშიაც მკიდროდ მოიკიდა ფეხი დემოკრატიულმა მიმართულებამ, ბუმბერაზმა მწერლებმა ილიამ და აკაკიმ შეჰქმნეს ჩვენს მწერლობაში სკოლა დემოკრატიულ პრინციპებისა და სწორედ ამ სკოლას ეკუთვნოდა ი. დავითაშვილიც. ი. დავითაშვილმა თვისი პოეზიით აღნიშნა ის დიადი ისტორიული მოვლენა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როდესაც დემოკრატია ცხოვრების სარბიელზე გამოდიოდა და თავისი სიტყვა უნდა ეთქვა. ი. დავითაშვილი სულითაც და ხორცითაც ღვიძლი შვილია ამ ქართველი ხალხის. თვის პირად ცხოვრებაში იწვნია სიმწვავე ხალხის ხვედრისა და თვის ლირიკულ პოეზიის საგნად სწორედ ეს ბედი დასახა. ი. დავითაშვილის პოეზიის უმთავრესად თვისებად უნდა ჩაითვალოს განსაზღვრული სიყვარული სამშობლოსადმი, რაიც მშრომელ ერის სიყვარულით გამომსახველის პოეზიას ამჩნევია ძლიერი სულის ბეჭედი, იმედიანობა და ენერგია. დავითაშვილი ქართველ ხალხს გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებდა. ცოდნის შეძენა—აი რა იყო აუცილებელი პირობა ხალხის შეგნებისათვის და ი. დავითაშვილიც სწორედ ამ ცოდნას, სწავლას თვის პოეზიაში ერთ უძლიერეს იარაღად ჰსახავდა. დავითაშვილის პოეზია განსაკუთრებით დახასიათდება გულწრფელობითა და ხელ-უხლებელ სისადით. დავითაშვილი ნამდვილი გულის მესაიდუმლეა „ტეტიებისა“; თუმცა რ. ერისთავის პოეზიის საგანიც იმავე ტეტიათა ზრახვანი და ფიქრნია, მაგრამ დავითაშვილი უფრო ღრმად ჩასწვდა მათ გულსა. რ. ერისთავის გლეხი ბუნებით მორჩილია თვის ხვედრისა, თუმცა იგი წუწუნებს და აორჩილებით ჰყვედრის. დავითაშვილის გლეხი უფრო ენერგიული პროტესტანტია. მომხსენებელმა კოტეტიშვილმა აღნიშნა, რომ დავითაშვილის პოეზია დამატებაა აკაკისა და ილიას შემოქმედებისა.

მოხსენება შინაარსიანი იყო და ცოცხლად დაწერილი. სამწუხაროდ ხალხი ნაკლებად დაესწრო მას.

**მ—ლი.**

## ლექციები ჭიათურაში

კვირას, 5 იანვარს, ჭიათურის თეატრში **ბ. გ. ნათაძემ** წაიკითხა ლექცია „დონკიხოტი, ჰამლეტი და ვეფხის-ტყაოსანი“, ლექტორის მიზანი იყო აღენიშნა ზემოხსენებული ნაწარმოების მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურაში.

ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა ქართველი ერის სიამაყის შოთა რუსთაველის და მის უკვდავ პოემის შესახებ და კარგი გამოცდილი, დაკვირებული ლექტორი უნდა, რომ მის შესახებ კიდევ ახალი სთქვას რამე საჯაროდ.

ბ. ლექტორი „ვეფხის-ტყაოსნის“ ისტორიულ გამოკვლევას არ შესდგომია, მხოლოდ ორიოდე სიტყვით უარჰყო ბ. კაკაბაძის გამოკვლევა, რომ მეთოთხმეტე საუკუნეს არ შეეძლო „ვეფხის-ტყაოსანი“ წარმოეშვა, რადგან ეს ხანა, ისტორიულად, საქართველოს დაცემის ხანაა. შეეცადა აღენიშნა „ვეფხის-ტყაოსნის“ მნიშვნელობა, მოიყვანა საუკეთესო ადგილები და ტაიპები, როგორც ქართველთა სულის გამომსახველი და მათთვის მნიშვნელოვანი, დაასურათა აგრეთვე მსოფლიო ლიტერატურაში მისი მნიშვნელობა.

ზოგიერთი ფილოსოფიური ტაეპები ბ. ლექტორის შეხედულობით, შემდეგ უნდა იყოს „ვეფხის-ტყაოსანში“ ჩამატებული, რადგან ბევრი მათგანი მეთვრამეტე საუკუნის მეცნიერებას ეკუთვნის და მეთორმეტე საუკუნეში მათზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდაო. თვით შესავალიც „ვეფხის-ტყაოსნის“ ცრუ-კლასიციზმს ეკუთვნის და საფიქრელია, როგორც ასეთი ნაწარმოები, შოთას კალამს არც ეს ეკუთნოდეს და რომ ასეთი ადგილები „ვეფხის-ტყაოსანში“ გამოიტოვოს, მაინც მთლიან, საუკეთესო მხატრული ნაწარმოები დაგვრჩებაო.

დასასრულ ისურვა, რომ ასეთი უკვდავი, საამაყო ნაწარმოები ოდესმე კიდევ წარმოეშვას ქართულ ლიტერატურას.

მეორე დღეს, ორშაბათს, 6 იანვარს, ელექტრო თეატრში ქ-ნმა ჩხეიძემ წაიკითხა ლექცია „თანამედროვე ქალთა მოქალაქობრივი მდგომარეობა დასავლეთ ევროპაში და რუსეთში“

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორეთ ვისმენთ ჭიათურაში ქალის ლექციას და ორივეჯერ ხალხიც ბლომად დაესწრო და ლექციებიც შინაარსიანი გამოდგან ქ. ნ. ჩხეიძეს საინტერესო თემა აუღია, რომელიც ენით და შინაარსით საკმაოდ მდიდარია.

სასურველია სხვა დაბებში და ქალაქებშიაც წაიკითხავდეს ამ ლექციას.

**—ძე.**

## წერილი სამეგრელოდან

**მადნიანი მამულები.**

ხშირად წამიკითხავს ქართულს გაზეთებში საყვედური იმ პირთა მიმართ, ვინც მადნიან ადგილებს პირველსავე შეხვედრაში, დაუფიქრებლად უცხოელებს აჩეჩებენ. რათა ეს არ განმეორდეს, ამ ჟამად მინდა ერთი გარემოება აღვნიშნო.

ს. ხეთაში, კობახიძეების მამულში აღმოჩნდა რაღაც მადანი. მეტად შავი ფერისაა; გიშერს წააგავს, თუმცა უმრავლესობის აზრით ნახშირი უნდა იყოს. მისი თვისებისა ჯერჯერობით მხოლოდ ეს ითქმის: ცეცხლში იწვის, სიმხურვალე დიდი აქვს; კვამლი მეტად არ სასიამოვნო სუნს აყენებს ოთახში, ქვის ნახშირის შესაფერად მძიმე არ არის. 200 ქცევა მიწის სივრცეზე ამ მადანის ნიშნები ჯერ-ჯერობით სამ კუთხეშია აღმოჩენილი. მეოთხე კუთხეში აღმოჩნდა რკინის მადანის ნიშნები. ამ ადგილიდან სამი ვერსის მანძილზე ხრამში, იმავე კობახიძეების მამულში, უფრო მტკიცე ნიშნებია რკინის მადანისა. უეჭველია, ეს მადნები თანმიმყოლ მთებშიაც იქნება.

უეჭველია, ხსენებულ ადგილებში, რამე მადანი იქნება, მაგრამ ვეჭვობ პატრონობა ვინმემ გაუწიოს. უკვე ჩამოსულია მოსკოვიდან კაპიტალისტ-ინჟენრების — პეროვისა და კიაშკინის რწმუნებული, რომელსაც ჰსურს ამ ადგილების იჯარით ან სხვა რაიმე პირობით აღება. მისი სიტყვით, აქ აუცილებლად რკინისა და ნახშირის მადანი მოიპოვება... ხსენებულ კომპანიას ამავე მიზნისთვის გურიაში ასკანისა (და ვგონებ ოქროყედის) საზოგადოებაში იჯარით აუღიათ 200 დესეტინა მიწა...

პეროვის რწმუნებული ჩქარობდა, უნდოდა 6 იანვრამდე ხელშეკრულება დაეწერათ, რათა იანვრის შუა რიცხვებიდან სასინჯი ბურღი მოეტანათ და საქმეს შესდგომოდნენ. მემამულეთა უმრავლესობამ კერძო თათბირის დროს საფუძვლიანი მოსაზრებათა გამო უარჰყო სიჩქარე და გადასწყვიტა პასუხი იანვრის ბოლოს მისცენ. ეჭვი არ არის, თუ ადრე შესაფერი ზომები არ იქმნა მიღებული, საქმით თუ რჩევით, ეს ადგილებიც გადავა უცხოელების ხელში....

საჭიროა, მრეწველობას გაცნობილი ქართველები—ასეთები ჩვენ შორის მოიპოვებიან—ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრნენ ამ ცნობას, რათა მომავალში მაინც არ დაგვეკარგოს მადანიანი ადგილები... თუ ქრისტეს წინ მე-VIII საუკუნეში შეგვწევდა ძალა და უნარი თითქმის ყოველნაირ მადნეულის დამუშავებისა, ნუ თუ ეხლა, მე-XX საუკ. ვერ შევსძლებთ მრეწველობის რიგიანად მოწყობას?.. ნურავინ შეგვეშინდება თანხის უქონლობაზე—ყოს შეგნება და სიყვარული საქმიანობისადმი და ყოველგვარი დაბრკოლება ძლეულ იქმნება. ვიქონიოთ მოქალაქობრივი გამბედაობა, ვითავოთ საქმის დაწყება; თუ ჩვენი ინჟენრები არა გვყავს, პირობით სხვა მოვიწვიოთ, ოღონდ მრეწველობას მიეცეს ქართული ელფერი, სათავეში ქართველები ედგეს, მოგება საქართველოში რჩებოდეს. არა მგონია თანხის შოვნა გაძნელდეს, თუ საქმის მცოდნენი იკისრებენ მრეწველობის ხელმძღვანელობას. ეს იქნება პირველი ნაბიჯი ამ დარგში და შემდეგ უფრო ძვირფას მადნების დამუშავებას შეგვიძლიან მოვკიდოთ ხელი.

**კ. კ—ძე.**

## მცირე შენიშვნა

ამას წინად „სახალხო გაზეთსა“ და „თემში“ ბ-ნი დავიწყებული აუწყებდა ქართველ საზოგადოებას პოეტ რაფიელ ერისთავის საფლავის უმწეო მდგომარეობას და წინადადებას იძლეოდა პოეტის გარდაცვალებიდან 10 **წლის** ასანიშნავათ: საფლავის მოწესრიგებას, თელავში იმ სახლზე, სადაც სცხოვრობდა, შესაფერ წარწერის გაკეთებას და ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ეწოდოსო.

პოეტი რაფიელ ერისთავი გარდაიცვალა თებერვალში, **1901 წელს.** ათი წლისთავი წელს კი არა, 1911 წელს შესრულდა.

როგორც გავიგე, თელავში საკვირაო სახალხო კითხვებს აწყობენ. კარგი იქნებოდა რაფიელ ერისთავის ვინაობა გააცნონ ამ კითხვებზე მოსიარულეთ და სოფლებშიაც მოეწყოს პოეტის ვინაობის შესახებ საუბარი.

ჩვენმა გლეხმა უნდა იცოდეს იმ კაცის მოღვაწეობა, ვინც დაჰმღერა გლეხის ბედი, „ტეტიათა მოტრფიალის“ სახელი მოიხვეჭა.

თვით სოფელ ქისტაურელებმაც, სადაც დაიბადა და დასაფლავებულია მგოსანი, ალბად ათში ერთმა არ იცის, თუ რა დიდი კაცი იყო მათი თანამემამულე.

**ივ. კარბელაშვილი.**

## მუშათა ცხოვრება

**რუსეთში.**

მუშათა საპროფესიო საზოგადოების მოქმედება ამ ბოლო დროს თან და თან ძლიერდება და ვრცელდება. მორიგ საკითხად არის წამოყენებული საპროფესიო კავშირებისა და საზოგადოებათა სრულიად რუსეთის კრების მოწვევა. ცალ-ცალკე საპროფესიო კავშირებს არ ძალუძთ საპრინციპო საკითხების გადაწყვეტა, როგორიც არის რვა საათის სამუშაო დღე, მუშათა საპროფესიო ორგანო და სხვა.

პირველი ამგვარი კრება რვა წლის წინად გაიმართა. აზრადა აქვთ, ეხლავე შეუდგნენ კრების გეგმის შემუშავებასა და ნებართვის აღებას. კრების ადგილად დანიშნულია პეტერბურგი, სადაც ოცი საპროფესიო კავშირი არსებობს 25,000 წევრით.

**უცხოეთი.**

**გაფიცვა სამხრეთ-აფრიკაში.**

„Berl. tag.“ დაბეჭდილია ვილდეს წერილი სამხრეთ-აფრიკის გაფიცვაზე. ვილდე აღნიშნავს სამხრეთ-აფრიკაში რკინის გზათა ლიანდაგების არა ჩვეულებრივ ზრდას, განსაკუთრებით ბურების ომის შემდეგ. 1910 წელს ვილდემ სამხრეთ-აფრიკაში 17,000 კილომეტრი გაიარა, ამაში 11,000 კილომეტრი რკინის გზით. რკინის გზის ლიანდაგთა გამრავლებამ სამხრეთი აფრიკა განვითარების გზაზე დააყენა. განვითარდა მრეწველობა, განსაკუთრებით სამთო მრეწველობა. იოჰანესბურგის ახლო-მახლო სამადნო ქარხნებსა და მაღაროებში 200,000 შავ-კანიანი და ადგილობრივი მცხოვრები მუშაობდა. რამდენიმე ათასობით სხვა და სხვა ადგილებშიაც არიან შავკანიანი მუშები. შავკანიანებთან ერთად იმავე სამთო სამრეწველოებში მუშაობს რამდენიმე ათასი თეთრ-კანიანი მცხოვრები. გაფიცვაში მხოლოდ თეთრ-კანიანი მუშები იღებდნენ მონაწილეობას; მიუხედავად ამისა, გაფიცვამ დიდი ზიანი მიაყენა ამ ქვეყნის მრეწველობას.

ეხლანდელს გაფიცვას, ვილდეს სიტყვით, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მეურნეობის მხრივ, იგი

ღირსშესანიშნავი მოვლენაა აფრიკის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც. ბურების ომამდე თეთრკანიან მცხოვრებნი წარმოადგენდნენ ერთ მთლიან ერთეულს, სადაც სოციალური განსხვავება ფრიად მკრთალი იყო. ქონებრივი და გონებრივი განსხვავებანი უთმობდნენ ადგილს მოდგმათა განსხვავებას. მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება განისაზღვრებოდა მხოლოდ თეთრკანიანობითა და შავკანიანობით. მრეწველობის განვითარებამ შეარღვია კედელი მთლიან მასაში და თეთრკანიანები დარაზმა მოწინააღმდეგე კლასებად. ამ მხრივ უკანასკნელი გაფიცვა გამომხატველია კლასობრივ შეგნებისა და საზოგადოებრივ დანაწილებისა. მისი შედეგისა მიუხედავად გააღრმავებს ეს გაფიცვა სოციალურს განსხვავებას.

მეორე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ამ გაფიცვისა ის არის, რომ თეთრკანიანს და შავკანიანს მუშებს შორის მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. მაგალითად ნატალში შავკანიანი მუშები გაფიცვაში მხარს უჭერდნენ თეთრკანიანებს. ეს ამბავი იმის წინა-მორბედია, რომ სამხრეთ-აფრიკის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი ცვლილება ხდება. შავკანიანი მცხოვრებნიც თანდათან ებმებიან პოლიტიკურს ცხოვრებაში. 1910 წლის კონსტიტუციამ შავკანიან მცხოვრებლებს საარჩევნო უფლება წაართვა, რომლითაც ისინი ზოგიერთ ადგილებში სარგებლობდნენ. ამ ამბავმა მკრალი და სუსტი მოძრაობა გამოიწვია ადგილობრივ მცხოვრებლებში. მასა ამ დიდმნიშვნელოვან აქტს გულგრილად შეხვდა. უკანასკნელ გაფიცვაში შავკანიან მუშათა მონაწილეობას ხასიათი ჰქონდა არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკურიც.

**გაფიცვის წაგება.**

სამხრეთ-აფრიკის მუშათა გაფიცვა წაგებულად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ მუშათა ცენტრალური კავშირი აფრთხილებდა გაფიცულებს, უკანასკნელებმა ტერორისტულ აქტები ჩაიდინეს. საზოგადოებრივი აზრი შეშინებული იყო შავ-კანიანთა ამხედრების მოლოდინითა და გაფიცულთა ტერორისტულის აზრით. ამით ისარგებლა მთავრობამ და სასტიკი ღონისძიებანი მიიღო გაფიცვის მოსასპობად. ყველგან აპატიმრებენ საპროფესიო კავშირების ხელმძღვანელებს, მოწინავე მუშებს და უმალვე ასამართლებენ. ხშირად სიკვდილით სჯიან. ბოლო დროს მთავრობამ განკარგულება გასცა, ვინც კი საზოგადო დაწესებულების გვერდით გაივლის და მთავრობის ბრძანებისათანავე ხელებს მაღლა არ აიწევს, იქვე დახვრიტავენო. ასეთმა ზომებმა გაფიცვა ძალიან დაასუსტა. მრავალ სამრეწველოებში მუშაობა განაახლეს.

მწვავე ბრძოლა იყო გამართული მთავრობასა და მუშათა 200 ხელმძღვანელს შორის ქ. იოჰანესბურგში. პოლიციამ ისინი მოამწყვდია საპროფესიო კავშირის შენობაში. ალყა-შემორტყმული მუშები უკიდურეს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. მაგრამ მაინც კარგა ხანს გასტანა ბრძოლამ პოლიციასთან, რომელიც რამდენჯერმე უკუ აქციეს.

მთავრობამ ზარბაზნის დაშენით დაემუქრა მუშებს და დაუდგა კიდეც შენობის წინ და მუშებს 15 წუთის მოფიქრების დრო მისცა. მუშები დანებდნენ.

**პეტერბურგი.** 4 იანვარს ბლიგკენისა და რობინსონის ქარხნის ადმინისტრაციამ თავისთან კანტორაში დაიბარა მუშათა 13 რწმუნებული, რომელთაც საავადმყოფო კასის წესდების შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ. ადმინისტრაციამ მუშები, ვითომდა, მოსალაპარაკებლად დაიბარა. კანტორაში მუშებს პოლიცია დახვდა. ქარხნის ადმინისტრაციამ მუშებს წინადადება მისცა გაესწორებინათ ანგარიში და ქარხნიდან წასულიყვნენ. ეს განკარგულება, ქარხნის გამგის სიტყვით, იმით ყოფილა გამოწვეული, რომ რწმუნებულნი მუშებს ნებას არ აძლევდნენ დღესასწაულების წინა დღეებში შეესრულებინათ ზედმეტი სამუშაონი. ამის გამო ქარხანას უზარალნია.

მუშათა რწმუნებულებმა ანგარიშის გასწორებაზე უარი სთქვეს და განუცხადეს, რომ საქარხნო ინსპექტორს აუხსნით საქმის ვითარებასო. როგორც კი გაუგიათ ქარხნის მუშებს ეს ამბავი, მაშინათვე დაუდგენიათ, ამხანაგებს გამოესარჩლნენ. ქარხანასთან პოლიცია სდგას.

## 9 იანვარი რუსეთში

(დეპ. პეტერბ. სააგენტო)

**პეტერბურგი.** პარგოლავოში პროკლამაციის ბეჭვდის დროს დააპატიმრეს სამი კაცი. პროკლამაცია იბეჭდებოდა სოციალისტთა და რევოლიუციონერთა დეპუტატთა საბჭოს სახელით. პროკლამაციით მოუწოდებდნენ 9 იანვრის გაფიცვისთვის. გაჩხრეკის დროს ორი ბრაუნინგი იპოვნეს.

**პეტერბურგი.** დააპატიმრეს მუშა სოციალისტი რევოლიუციონერი, რომელიც გექტოგრაფზე ჰბეჭდავდა 9 იანვრის გაფიცვის მოწოდებას. დააპატიმრეს 4 სტუდენტი და 2 მსმენელი ქალი; უპოვეს მათ ფურცლები.

**რიგა.** 9 იანვარს მრავალ ქარხანაში მუშაობა არ სწარმოებდა.

**პეტერბურგი.** 9 იანვარს ნაშუადღევის ორ საათამდე 350.000 მუშათაგან გაფიცული იყო 70.000 მუშა. ქარხნებიდან გამოსვლის დროს მუშები შეეცადნენ სარევოლიუციო სიმღერები ემღერათ და დემონსტრაცია გაემართათ, მაგრამ პოლიციამ შეუშალა ხელი. დემონსტრაციის გამართვას შეეცადნენ ნევის პროსპექტზე, საბალო ქუჩაზე და სხვაგან. ერთ ადგილას მუშათა ბრბომ მოინდომა სარევოლიუციო სიმღერის მღერა, მაგრამ პოლიციამ ჩაერია და გაჰფანტა. პოლიციამ იარაღსაც მიჰმართა. დააპატიმრეს ექვსი კაცი.

**ვარშავა.** ქალაქისა და ქალაქ გარეთი რვა ქარხანაში გაიფიცა 2.600 მუშა.

**მოსკოვი.** 9 იანვრის წლის თავის აღსანიშნავად შეეცადნენ გაფიცვის მოწყობას, მაგრამ უნაყოფოდ დაგვირგვინდა. გაფიცული იყო მხოლოდ 7,512 მუშა.

**პეტერბურგი.** ოფიციალურის ცნობებით, 9 იანვარს გაფიცული იყო სხვადასხვა ქარხნისა, ფაბრიკისა, სახელოსნოსა და სხვათა 110,604 მუშა. ქალაქის სხვადასხვა ნაწილში შეეცადნენ დემონსტრაციის მოხდენას. ამგვარი ცდა 50-ჯერ მოხდა. სარევოლიუციო სიმღერისთვის და ურჩობისათვის დააპატიმრეს 134 მუშა. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ამხანაგები შეეცადნენ დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. სრული წესიერება ქალაქის შუაგულში ნაშუადღევის სამ საათამდე აღადგინეს; განაპირა ადგილებში საღამოს 7 საათზე.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** გუშინწინ მეექვსედ დაიდგა ი. გედევანიშვილის პიესა „სინათლე". ხალხი კვლავ აუარებელი დაესწრო. კასაში გამოაცხადეს, ბილეთები აღარ არისო. უბილეთოდ დარჩენილები გულდაწყვეტილნი დარჩნენ: მეექვსედ მოვდივართ და ბილეთები არ არისო. მოწაფეები და ხალხიც მივიდნენ კაპელდინერებთან და თეატრში ძალით უნდოდათ შესვლა. გამგეობის წევრებმა, როგორც იყო დაამშვიდეს ისინი.

**ქალების საღამო.** ტფილისის ქართველი ქალები დიდის ამბით ემზადებიან „საღამოსათვის", რომელიც უნდა გაიმართოს ნინოობას ქართულ თეატრში. „საღამოს" პროგრამა საინტერესოდ და მრავალფეროვნად არის შედგენილი. ყველაზე უწინარეს კ. აბაშიძე, ივ. გომართელი და შ. მესხიშვილი წაიკითხავენ მოკლე ლექციებს ქალის ცხოვრების შესახებ. შემდეგ გაიმართება საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ფილარმონიული საზოგადოების ხორო, ახალი კლუბის სიმებიანი ორკესტრი და ცალკე მომღერლები. წაკითხული იქნება აგრეთვე ლექსები. კონცერტს მოჰყვება ცოცხალი სურათები მ. ქორელის და ვ. შალიკაშვილის ხელმძღვანელობით. დასასრულ გაიმართება ქართული და ევროპიული ცეკვა.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**10 იანვარი.**

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ცნობით, ვენიზელოსი თვის მოგზაურობით კმაყოფილი ყოფილა. ვენიზელოსს სახელმწიფო მოღვაწეებთან ლაპარაკი ჰქონია და წინადადება მიუცია საბერძნეთ-ალბანეთის საზღვარი არგირო-კასტროს ოლქში მცირეოდენად შესცვალონ. ამ წინადადებას სახელმწიფონი განიხილავენ. ეპირის თაობაზე ვენიზელოსმა განაცხადა, რომ იგი არ შეიქნება საერთაშორისო დავის საგნად. საბერძნეთს ჯერ არ მოსვლია ცნობა სახელმწიფოთა საზღვრების თაობაზე, მაგრამ იგი გაანთავისუფლებს იმ ოლქებს, რომელნიც ალბანეთის საზღვრებში გადადის.

**ბერლინი.** „კელნიშე-ცეიტუნგი" ოფიციალურ წერილში აღნიშნავს, რომ გერმანიის სამხედრო მისიის საკითხი სტამბოლში გამოწვეულია არა გერმანიის თაოსნობით, არამედ ოსმალეთის სურვილითო, დიდმა ვეზირმა გერმანიის ელჩს სთხოვა, საკითხი აღძრას გერმანიის მთავრობის წინაშე, რათა მან გაჰგზავნოს გერმანელი გენერალი ოსმალეთის ჯარში რეფორმების მოსახდენადო. გერმანიამ დააკმაყოფილა ოსმალეთის თხოვნა; წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა სახელმწიფო დააკმაყოფილებდა ოსმალეთის თხოვნასო.

გერმანია გენერალ სანდერსის უფლებათა საკითხს უყურებდა არა პოლიტიკურის თვალსაზრისით, არამედ წმინდა სამხედრო — ტეხნიკურის თვალსაზრისით. რუსეთის თხოვნა, გენერალ სანდერსის სტამბოლიდან სხვა ადგილას გადაყვანის თაობაზე, გერმანიამ ყოველმხრივ განიხილა და დარწმუნდა, რომ გენერალ სანდერსის გადაყვანა ტეხნიკურის მოსაზრებით შეუძლებელია.

**მექსიკო.** სამხედრო მინისტრი იტყობინება: კუერნავაკში მეამბოხენი დამარცხდნენ, დაჰკარგეს 2.000 კაცი.

**მარმაროშ-სიგეტი.** უგრორუსთა საქმე. ბრალდებულთა ჩვენების ჩამორთმევა გრძელდება.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო იტყობინება: ცრუა პეტერბურგის გაზეთების ცნობა, თითქოს ფერდინანდ მეფემ კაბინეტს სერბია-ბულგარეთის ხელშეკრულობის ტექსტი აცნობა.

**სტამბოლი.** გასძარცვეს საფრანგეთის საფოსტო კანტორა.

**ლონდონი.** მინისტრთა კაბინეტი შეუდგა საფინანსო და საზღვაო სამინისტროების დავის განხილვას.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. დეპუტატმა ბეშკიდმა მოითხოვა უგრორუსთა საქმის გაუქმება, განთავისუფლება ყველა ბრალდებულისა, გარდა აგიტატორებისა. დეპუტატი მთავრობას გულქვაობას უკიჟინებდა. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა დეპუტატს: მართალია, უგრორუსთა მდგომარეობა უხეირშოა, მაგრამ მათი მონათესავეების მდგომარეობა რუსეთში უფრო უარესია. მიუხედავად ამისა, სათათბიროს არც ერთი წევრი არ გაჰბედავს იმის თქმას, რაც დეპუტატმა ბეშკიდმა სთქვა; ჰუნგრეთი კეთილად ეპყრობოდა უგრორუსებს, რომელნიც პროგრესის გზაზე სდგანან; სინანულის მეტი არა დაგვრჩენიათ რა, თუ კი შეკითხვით მოიწადინებენ ამ ფაქტის მიჩქმალვას.

**ბელგრადი.** გენერალმა ხოლმსენმა თვისი აზრი გამოსთქვა სერბია-ბულგარეთის სადავო საზღვრის თაობაზე. სადაო ადგილი მოდავეთა შორის გაიყოფა ორ ნაწილად, საკითხი ამით სრულდება.

**ათინა.** ოქსილარსის საყარაულოსთან საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვარზე შერეულ კომისიის წევრთა შორის უთანხმოება მომხდარა. ბულგარებს თავი გამწყენად ეჭირათ, რის გამოც საბერძნეთის პოლკოვნიკმა ჯარის კაცებს უბრძანა იარაღი მოემზადებინათ. ინცინდენტის მიზეზად ყოფილა ბულგარელ ოფიცრის სიტყვები, რომლითაც ჰგმობდა საბერძნეთის ჯარის მოქმედებას. ოფიცერს, სხვათა შორის, უთქვამს: სულ ერთია ყორნები ახლო მომავალში უნდა გადაისხასო. უთანხმოებამ ფრიად აღელვა საბერძნეთის ჯარის კაცთა გარნიზონი, რომელიც უკვე თავდასასხმელად მოემზადა. ცოტა ხნის შემდეგ საყარაულოზე მივიდა ბულგარეთის უმაღლესი ინსპექტორი, განმარტება წარუდგინა და მომხდარ ამბის გამო სინანული გამოსთქვა. მეორე დღეს ახალმა უთანხმოებამ იჩინა თავი: ბულგარებმა უარი სთქვეს ოქმის ხელის მოწერაზე, რომელიც წინა დღით იყო შედგენილი. საბერძნეთის ოფიცრები წავიდნენ, რადგანაც შეთანხმების იმედი არ ჰქონდათ. კომისია დათხოვნილია. მისი წევრები ათინაში დაბრუნდნენ.

**რუსეთი.**

**ბოგოროდსკი.** დაიწვა სამანუფაქტურო ქარხნის შენობა. ზარალი 300,000 მანეთს უდრის.

**პეტერბურგი.** მიწად-მოქმედების მთავარ გამგემ მინისტრთა საბჭოში წარადგინა პროექტი რუსეთში მეურნეობის გაუმჯობესობისა რომანოვთა საგვარეულოს დღესასწაულის აღსანიშნავად. ამ მიზნისთვის მთავარი გამგე ითხოვს ხუთი წლის განმავლობაში 150 მილიონ მანეთის გაღებას. პირველ ყოვლისა, აღნიშნულია აუცილებელი ღონისძიებანი, როგორიც მის საჰიდროტეხნიკო მუშაობის მოწყობა და გამოუსადეგარ ადგილების შეძენა ხაზინის მიერ, რომელთა გაუმჯობესებაც შესაძლებელია.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ 9 იანვრის სხდომაზე პრინციპიალურად მოიწონა შინაგან საქმეთა მინისტრის კანონ-პროექტი ხულიგანობასთან ბრძოლის თაობაზე სოფლად.

**ვილნა.** რუსთა კლუბში სათათბიროს წევრმა ზამისლოვსკიმ იუშჩინსკის საქმის თაობაზე მოხსენება წაიკითხა.

## წერილი რედ. მიმართ

მ. ხ.. ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი და უგულითადესი მადლობა შევწიროთ არჩილ ჯორჯაძის კულტურულ წრის სახელით „ერისა" და „კლდის" რედაქციებს, რომელთაც თავიანთი გამოცემანი უფასოდ დაუთმეს ხსენებულ წრეს.

პატივისცემით წრის თავმჯდომარე
**მაქსიმე ბერძნიშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორს, რომელმაც კეთილ ინება და თავისი ჟურნალი 1913 წლის განმავლობაში უფასოდ დაუთმო ჩვენს ღარიბ სკოლას.

მუხაყრუის მასწ. **ქსენია კაკაბაძე.**

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

ვრდაის ფერი ბროლის საპონი.




ერთად-ერთი ფაბრიკა: ფერდ. მიულგენსისა.
იჭერი 625 კ.
1020 პარფიუმერია კელნი, რიგა.

ექიმ ნაკაშიძის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნაკაშიძე: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. ავალიშვილი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ზაზანაშვილი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ჩელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარამურზაიანცი: 12—1 ს. შინაგანი, აბავაშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ღარიბთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი ბ. ა. ნაკაშიძე.

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვოხის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ანასტას. ერისთავ-ხოშტარიასი
1) „მოლიპულ გზაზე", რომანი . . . 1 მ. 50 კ.
2) „ბედის ტრიალი", რომანი . . . ( 60 კ.
„ლაზარეს გადაახარება", მოთხრობა . (
3) „ქამისია", სურათები სოფლის ცხოვრებიდან 15 კ.
წიგნების გამოწერა შეიძლება ამ მისამართით:
г. Гори. Анастасіи Георгіевнѣ Хоштарія.
გასაგზავნ ხარჯის გადაუხდელად. ვინც სამსავე წიგნს ერთად გამოიწერს, ორ მანეთად გაეგზავნება და ვინც გამოიწერს ათ წიგნზე არა ნაკლებს, დაეთმობა „მოლიპულ გზაზე" 30 პროცენტი, დანარჩენებზე 20 პროცენ. ამ მისამართზევე შეიძლება გამოწერა
დუტუ მეგრელის ნაწერებისა:
1) ლექსები, 70 კ., 2) მოთხრობები, 70 კ. ორივე წიგნის გამომწერს გაეგზავნება 1 მ. 20 კაპ.-დ, ათი წიგნის გამომწერს დაეთმობა 30%. 1012

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

„ჯ ე ჯ ი ლ ი"
საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა-მეხუთე წელიწადი.
მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.
გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა
პატარებისათვის და მოზრდილთათვის.
ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში ღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ჯეჯილის" რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5), ქუთაისში, ისიდორე კვიცარიძესთან, ჭიათურაში—მასწ. ნიკ. წუწუნავასთან და სამტრედიაში—რაჟდენ ნანეიშვილთან.
რედაქციაში იყიდება ცალკე წლების ჯეჯილები.
1914 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ დასურათებული წიგნი:
„კ უ ნ წ უ ლ ა".
ფოსტის ადრესი: Въ тѳилисъ, въ Ред. груз. дѣтскаго журн. „Джеджили".
1003 რედაქტ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

საუკეთესო შოკოლადები
მოსალოდნელად და ბევრნაირი კანფეტეულობა შეიძლება მიიღოთ
მ. ნაზარბეგოვის
საწყობში სასახლის ქუჩაზე. იქვე შეიძლება მიიღოთ საუკეთესო კაკაო და ღვინოები ბავშვებისთვის და დიდრონებისთვის. იქვე იყიდება კარგის ღირსების კარაქი 60 კ. გირ. 15

მუდამ დღე მოგვდის
ახალ-ახალი
თევზის მრეწველნი
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ძმ. ძმებელოვები.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა.
კოლოფით შიტკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და
კონსერვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსები
ინჟინერ ვინოგრადოვისა,
სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი.
განყოფილებანი: სამიწის-მზომლო და სასოფლო-სამეურნეო. ახლად მიიღებიან სამიწისმზომლო და საამშენებლო განყოფილებაში. კურსებზე მიიღებენ გამოუცდელად 1872 წ. წესდებით არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ, ხოლო ამაზე დაბალის სწავლით აღჭურვილთ კი გამოსცდიან. მეცადინეობა დაიწყება 7 იანვარს, მოწაფეთა მიღება—20 იანვრამდე. პირობებს ვგზავნით 4 შვიდ-კაპეკიან მარკის მიღებისათანავე. კურსები მოთავსებულია სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში. პირადი მოლაპარაკებისათვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 8 ს.-დე. რადგანაც სამიწისმზომლო ტეხნიკების დიდი მოთხოვნილებაა, ამ კურსების დამსრულებელთათვის ადგილი უზრუნველყოფილია. 1656

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საკომერციო ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
(ტფილისი. მიხეილის პროსპექტი, სახლი N 24—4, ტელეფ. 976).
სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის კურსის დამთავ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში და Pigi-ის (პარიზში), Muster Comton-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება.
საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუღალტერია (უბრალო, იტალიური გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო ა საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო 1) უცხო ენები. 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
ლექტორებად კურსებზე არიან უმაღლეს სატეხნიკო სწავლა-მიღებულნი. გავხსენით სპეციალური ქალთა განყოფილება კურსებისა და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვის. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—2 ს. დილით, და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და მიეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის ეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო. ამათგან 53 ქალი. რადგანაც მსურველი ბევრია, კურსებთან გავხსენით მეორე კლასის პარალელური განყოფილება, რომელიც ნამეტნავად ხელსაყრელია ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის. 1628

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.